შპს “ნეოგაზი” აცხადებს ტენდერს მასალის:

მშენებარე ავტო გაზგასამართი სადგურისთვის საკომპრესორო დანადგარის შესყიდვაზე

07/07-NEO-P/COMPR-17

შესყიდვის სპეციფიკაცია:

შეკუმშული ბუნებრივი აირის დგუშიანი საკომპრესორო დანადგარი შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

- შემომავალი წნევა: 0.2 ბარი;
- წარმადობა: 1100 – 1200 კუბ. მეტრი;
- გამომავალი წნევა: 250 ბარი;
- საკოპმპრესორო დანადგარს უნდა გააჩნდეს ხმის დამხშობი მოდული.

შპს ნეოგაზი იწვევს დაინტერესებულ ანალოგიური გამოცდილების მქონე პირებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომერციული წინადადება წარმოდგენილი დეტალური ხარჯთაღრიცხვით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - კომერციული წინადადება უნდა შეიცავდეს კომპრესორის მონტაჟისა და გაშვების ღირებულებას თბილისის ტერიტორიაზე;
- შემოთავაზებული კომპრესორის ტექნიკური მახასიათებლების დეტალური აღწერილობა;
- დეტალურად გაწერილი საგარანტიო ვადები და პირობები;
- ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური/მსგავსი სამუშაოების შესახებ (სამუშაოს დასახელების, კონტრაგენტი ორგანიზაციის, პერიოდის მითითებით);
- ინფორმაცია დანადგარის მიწოდებისა და მონტაჟი-გაშვების ვადების შესახებ (გაწერილი გეგმა-გრაფიკი);
- ინფორმაცია გადახდის პირობების შესახებ.
    - ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში მომწოდებელი იტოვებს უფლებას მოითხოვოს საბანკო გარანტია მოთხოვნილი თანხის ოდენობაზე.

გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ დამკვეთი იტოვებს უფლებას პრეტენდენტს მოთხოვოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პირის მიმართ საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

წინადადების წარდგენის წესი:

- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდური სახით და მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. კონვერტს დალუქვის ადგილას დასმული უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის ბეჭედი ან/და ხელმოწერა. კონვერტს გარედან **აუცილებლად** უნდა ეწეროს პრეტენდენტისა და ტენდერის დასახელება/ნომერი;
- წინადადების ჩაბარება ხდება მისამართზე: ქ.თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N18. საკონტაქტო პირი სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით: **ვასილ მაისურაძე.** ელ.ფოსტა: v_maisuradze@giec.ge; საკონტაქტო ნომერი: 551 11 22 22.
    - საკონტაქტო პირი ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით: ნუგზარ ნათობაიძე. საკონტაქტო ნომერი: 595 97 07 31;

წინადადების წარდგენის ბოლო ვადა: <u>2017 წლის 31 ივლისი, 14:00 საათი.</u>